MES 1 24 0000012953

10/01/2024

**საგანმანათლებლო პროგრამების**
**აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 20. 12. 2023**
**სხდომის დაწყების დრო: 12:00 სთ**
**სხდომის დასრულების დრო: 17:15 სთ**
**საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი**
**საბჭოს მდივანი: რატი რატიანი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^2$-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომშისაბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრებ ი:**

1. **გოდერძი ბუჩაშვილი** - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი **- საბჭოს თავმჯდომარე ;**
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი** - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი **- საბჭოს მდივანი;**
4. **მარინე მაისურაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
5. **ქეთევან ზურაშვილი** - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;

6. **ერმილე მესხია -** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ლევან ნიკოლეიშვილი -** სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
8. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
9. **მარინა ქავთარაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
10. **ქეთევან ქუთათელაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
11. **ლაშა ჩხარტიშვილი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
12. **თინათინ ჭაბუკიანი -** სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
13. **გურანდა ჭელიძე -** შპს კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი;
14. **მამუკა ხუსკივაძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.
15. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;
16. **ირინე ებრალიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
17. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
18. **ნინო ღაღანიძე -** სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები**

| N | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | სოფიკო ქურასბედიანი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი |
| 2 | ლალი ოდიშვილი | უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი |
| 3 | ლაშა მაჭარაშვილი | სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კოორდინატორი |

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები**

| N | სახელი, გვარი | | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | | |
| 1 | ირინე შოთაძე | შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია | პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის რექტორი | I |
| 2 | ლელა სტურუა | შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია | პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სკოლის დეკანი, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | I |
| 3 | ნინო სიხარულიძე | შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია | პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს წევრი; | I |
| 4 | ბიძინა ჩაჩხიანი | შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია | პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს წევრი; | I |
| 5 | ეკატერინე კლდიაშვილი | შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია | პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ვიცე რექტორი კვლევის მიმართულებით | I |
| 6 | მარიამ მაღლაკელიძე | შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია | პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ინსტიტუციური კულტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | I |
| 7 | თედო სანიკიძე | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | I |
| 8 | ირინა გორგილაძე | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მმართველობის სკოლის დეკანი; | I |
| 9 | ვანო ცერცვაძე | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მმართველობის სკოლის ადმინისტრაციული ხელმძღვანელი, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი | I |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 10 | დავით წასიძე | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს წევრი | I |
| 11 | ნიკა გიგაური | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საბჭოს წევრი | I |
| 12 | გიორგი ტომარაძე | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი | I |
| 13 | კარლო კოპალიანი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერი, „სოციალური მეცნიერებების“ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | II |
| 14 | დავით მახვილაძე | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | II |
| 15 | ხათუნა მხეიძე | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე | II |
| 16 | ივანე ჯაგოდნიშვილი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი | II |
| 17 | ეკატერინე შაკიაშვილი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | II |
| 18 | იაშა კუტუზიძე | | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური | II |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | მეცნიერებების" დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი | |
| 19 | მამუკა ზერიაშვილი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | პროფესორი | II |
| 20 | ლია მეტრეველი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | პროფესორი | II |
| 21 | კახა კოპალიანი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | პროფესორი | II |
| 22 | მაია სიგუა | სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | მუსიკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი | III |
| 23 | ნატალია ზუმბაძე | სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | მუსიკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი, მუსიკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი | III |
| 24 | თამარ ჩხეიძე | სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | მუსიკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი, მუსიკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი | III |
| 25 | მარიკა ნადარეიშვილი | სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | მუსიკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახელმძღვანელი, მუსიკოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი | III |
| 26 | რევაზ კიკნაძე | სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი | III |
| 27 | მაკა ვირსალაძე | სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელი | III |
| 28 | ზურაბ ნადარეიშვილი | სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | კომპოზიციის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელი | III |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 29 | მაკა ვირსალაძე | სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია | კომპოზიციის საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების თანახელმძღვანელი | III |
| 30 | ნესტან კეკელია | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი | IV |
| 31 | თემურ ჩილაჩავა | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი | IV |
| 32 | რომეო გალდავა | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი | IV |

**აკრედიტაციისექსპერტები**

| N | სახელი, გვარი | საკითხი |
|---|---|---|
| 1 | ჰეიკი ჰიილამო (Heikki Hiilamo) (თავმჯდომარე) | I |
| 2 | ნათია ნოღაიდელი | I |
| 3 | გიგა ხოსიტაშვილი | I |
| 4 | შოთა სილაგაძე | I |
| 5 | მარტინ დალი (Martin Dahl) | II |
| 6 | ვახტანგი კეკოშვილი | II |
| 7 | ივანნა მაჩიტიძე | II |
| 8 | თინათინ გაბრიჩიძე | II |
| 9 | სოსო გაზდელიანი | II |
| 10 | ელენ ელის მაკვეი (Helen Elise Mcvey) | III |
| 11 | თამარ ძველაია | III |
| 12 | დავით ცინცაძე | III |
| 13 | ია ნაცვლიშვილი | III |
| 14 | დავით ტეფნაძე | III |
| 15 | დიანა მჭედლიშვილი | IV |

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4

პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიის" საბაკალავრო, "მუსიკოლოგიის" სამაგისტრო, "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო, "კომპოზიციის" საბაკალავრო, "კომპოზიციის" სამაგისტრო, "კომპოზიციის" სადოქტორო, "მუსიკის ტექნოლოგიის" საბაკალავრო და "მუსიკის ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენლი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- **არა**

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიის" საბაკალავრო, "მუსიკოლოგიის" სამაგისტრო, "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო, "კომპოზიციის" საბაკალავრო, "კომპოზიციის" სამაგისტრო, "კომპოზიციის" სადოქტორო, "მუსიკის ტექნოლოგიის" საბაკალავრო და "მუსიკის ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენლი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა.

***პირველი საკითხის განხილვის დროს საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ საბჭოს წევრები გურანდა ჭელიძე და ლაშა ჩხარტიშვილი***

**პირველი საკითხი:** ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობა (ერთობლივი) / Applied Public Health (Joint Programme) |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა |
| 3 | სტატუსი | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი / Master of Public Health |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0919 ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | ქ. წამებული 51/2, თბილისი, 0104, საქართველო, მარი ბროსეს ქ. №2, ქ.თბილისი, 0105, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულებების) წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი განხილვა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

საერთაშორისო ექსპერტი ჰეიკი ჰილამო მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამა პირველ, მესამე და მეხუთე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა როგორც სრულად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან, ხოლო მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებით, შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაიცა 8 რეკომენდაცია. პირველ სტანდარტში რეკომენდაციები არ გაცემულა თუმცა მორე სტანდარტში 2 რეკომენდაციაა მოცემული. პირველი რეკომენდაცია ეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში საუნივერსიტეტო ზეპირი გამოცდის მთავარ დარგობრივ მიმართულებას კერძოდ, საზოგადოებრივ ჯანდაცვის კომპეტენციების განსაზღვრას, ხოლო მეორე რეკომენდაცია ეხება საერთაშორისო გამოცდილებისა და არასამედიცინო მეცნიერებების კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისათვის დამატებითი ცოდნის, კონკრეტულად საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოთხოვნას გამჭვირვალე შეფასების კრიტერიუმებით. ეს შეიძლება იყოს გარკვეული მოცულობის მქონე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შინაარსის კურსების გავლა. გარდა ამისა, შესაბამისი უნარების სამუშაო გამოცდილების მტკიცებულება, კვლევითი საქმიანობა და სხვა. შემდეგი რეკომენდაციები ეხება პროგრამაში მაგისტრანტის პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის დამატებას, რომელიც განხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. ასევე, ერთერთი რეკომენდაცია ეხება სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავებას. გარდა ამისა, პროგრამის მიმართ გაცემული ერთერთი რეკომენდაცია ეხება სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისების გადანაწილების საკითხს ორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მეოთხე სტანდარტში მოცემული სამი რეკომენდაცია ეხება 4.4 და 4.5 კომპონენტებს. რეკომენდებულია უნივერსიტეტების მიერ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მზარდ სამეცნიერო პოტენციალზე ზრუნვა. გარდა ამისა, სამკითხველო სივრცეების გაუმჯობესება და მეტი შესაძლებლობების შეთავაზება სტუდენტებისათვის. მისი თქმით, 4.5 სტანდარტში მოცემული რეკომენდაცია ეხება ფინანსური მიმართულებით რისკების სტრატეგიის შემუშავებას და ამ ნაწილში პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრას, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის მდგრადობას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. პირველ და მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებს წერილობით გამოცდას და ზეპირ გასაუბრებას. მას შემდეგ, როდესაც საერთო სამაგისტრო პროგრამის გამოცდას ჩააბარებს კანდიდატი, სპეციალიზებული წერილობითი გამოცდის საკითხები, რომლებიც საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კომპეტენციებს განსაზღვრავს, განთავსებულია ორივე დაწესებულების ვებგვერდზე. რაც შეეხება ზეპირ გამოცდას, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხებში, წინასწარ იქნება გამოცხადებული საგამოცდო საკითხები. გარდა ამისა, პროგრამაზე მიღების წინაპირობად დადგენილია ინგლისური ენის გამოცდა. პროგრამა არის ორწლიანი და 120 კრედიტიანი. სწავლება იწყება ბაზისური საკითხებიდან. შესაბამისად, პროგრამის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულები გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სპეციალისტები იქნებიან. გარდა ამისა, დაწესებულება სტუდენტს სთავაზობს გამოცდებამდე გაიაროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ სასწავლო კურსი, რომელიც არ არის კურიკულუმის ნაწილი. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა დასკვნაში წერია, რომ უნივერსიტეტმა არ გაიზიარა პირველი რეკომენდაცია ზეპირი გასაუბრებასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულებისთვის გაუგებარია რატომ წერია ასეთი ჩანაწერი დასკვნაში, როდესაც არგუმენტირებულ პოზიციაში უნივერსიტეტი იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას. შესაბამისად, მეორე რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს პირველი რეკომენდაციის გაზიარებიდან გამომდინარე. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ პროგრამას დაემატოს მაგისტრანტის პროგრესის პერიოდული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი, რომელიც განხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. აღნიშნულ რეკომენდაციას უნივერსიტეტი იზიარებს, თუმცა ეს მექანიზმი დაწესებულებას გააჩნია კერძოდ, წერია მაგისტრანტის ხელმძღვანელის ხელშეკრულებაში, თუმცა არ წერია რეგულაციაში. შესაბამისად, ეს არის რჩევა და არა რეკომენდაცია. დაწესებულებას პრობლემა არ აქვს შექმნას ახალი რეგულაცია სტუდენტურ სერვისებთან დაკავშირებით, თუმცა ერთობლივი პროგრამები როდესაც იქმნება, ამის თაობაზე ინფორმირებულია განათლების ეროვნულ ცენტრი. ორმხრივი ხელშეკრულებით გაწერილია ის თუ როგორ მოხდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროცესის წარმართვა. ამ ხელშეკრულების თანახმად, უნივერსიტეტებს განსაზღვრული აქვთ დაწესებულებებში არსებული სტუდენტური სერვისები, რომლებიც გაზიარებული იქნება ერთობლივ პროგრამის სტუდენტებისთვის. აღნიშნული რეკომენდაციაში მოცემულია შემდეგი წინადადება: „განისაზღვროს საორიენტაციო ფორმატი რეგულაციის დონეზე“, ეს უკანასკნელი, დაწესებულებისთვის გაუგებარია. გარდა ამისა, მეოთხე რეკომენდაცია დაწესებულებას შესრულებული აქვს და დასკვნაში რატომ არის მოცემული, ისევ გაურკვეველია. მისი თქმით, თუ პროგრამა გაუქმდება, დაწესებულებები არსებული რეგულაციით სტუდენტს შესთავაზებენ მილევად რეჟიმში პროგრამის დამთავრებას. გარდა ამისა, სტუდენტს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტსა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა მემორანდუმი იმის შესახებ, რომ თუ პროგრამა გაუქმების წინაშე დადგება, რიგგარეშე მობილობის გამოცხადების შემდეგ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მიიღებს სტუდენტებს. შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორივე დაწესებულებას აქვს სხვადასხვა საგრანტო პროგრამები და ხელშემწყობი მექანიზმები მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა იმისი შესაძლებლობა, რომ ენახათ საბიბლიოთეკო ბაზები სრულად. შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიაში ბიბლიოთეკის სივრცე წარმოდგენილია ერთი სამკითხველო დარბაზითა და სამი დამოუკიდებელი მუშაობისთვის განსაზღვრული ოთახით. აკადემიის

კონტინგენტის გაზრდის მომენტში 1300 სტუდენტისთვის დამაკმაყოფილებელ სივრცედ იყო მიჩნეული. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებისთვის წარმოდგენილი იყო პროგრამისთვის აუცილებელი სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი ყველა, სრული ჩამონათვალით, რომელიც უკვე აკადემიაშია. ორივე უნივერსიტეტს მიაჩნია, რომ საბიბლიოთეკო რესურსების თვალსაზრისით ბიუჯეტში განსაზღვრული თანხა განკუთვნილია აკრედიტაციის შემდეგ ბიბლიოთეკის დამატებით რესურსების განვითარებისათვის, რათა სექტემბრის მომენტისთვის უკვე სრულად უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებით. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ XXI საუკუნეში მწვანე ტექნოლოგიების და პოლიტიკის გათვალისწინებით სერიოზული ძალისხმევით ვითარდება ელექტრონული ბიბლიოთეკა, რომელიც მაგისტრატურის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

პროგრამის ერთ-ერთმა თანახელმძღვანელმა, ვანო ცერცვაძემ ფინანსური რისკის სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო პროგრამის ფინანსური მდგრადობისა და შესაძლო ფინანსურის რისკების შესახებ დოკუმენტს. დაწესებულებას აქვს შესაბამისი მექანიზმები გაწერილი იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება თანაბრად განაწილება როგორც ზარალის, ისე პასუხისმგებლობის. გარდა ამისა, მატერიალური ტექნიკური ნივთების განაწილებაც არის განსაზღვრული აღნიშნული დოკუმენტით, რომელთა შეძენაც მოხდება პროგრამის მსვლელობის განმავლობაში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენა B2 დონე და საერთაშორისო სერტიფიკატი. მას აინტერესებდა, საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობის შემთხვევაში, რა ქულას ითხოვს დაწესებულება. გარდა ამისა, რა პრინციპით ხდება დიპლომის გაცემა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი ითხოვენ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ ვალიდურ სერტიფიკატს. პროგრამაზე ჩაირიცხება ის სტუდენტი, რომელსაც „TOEFL"-ის შემთხვევაში 513-დან 547-მდე, „TOEFL iBT"-ის შემთხვევაში 807-დან 900-მდე, ხოლო „IELTS"-ის შემთხვევაში 5.5-დან 6-მდე ქულა ექნება. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთობლივი ხელშეკრულებით განისაზღვრება დიპლომის გაცემის წესი. დიპლომი გაიცემა ორივე უნივერსიტეტის რექტორის ხელმოწერით და ამ ხელმოწერაზე დამოწმებული ბეჭდით.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას მეთხე სტანდარტთან დაკავშირებით. მისი თქმით, დაწესებულებებს შორის არსებული ხელშეკრულება ითვალისწინებს შემოსავლის წყაროებს. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი შემოსავლის წყაროა სტუდენტის დამატებითი გადასახადი. მას აინტერესებდა, რა სახის გადასახადზეა საუბარი. გარდა ამისა, რამდენად წარმოადგენს ეს დამატებითი გადასახადი მნიშვნელოვან თანხას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს პროგრამის ბიუჯეტის შევსებაზე.
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს თანხა წარმოადგენს სწავლის საფასურზე დამატებით გადასახადს. მაგალითად, თუ სტუდენტმა რომელიმე სასწავლო კურსი წარმატებით ვერ ჩააბარა, მას ამ კურსის გავლა დამატებით საფასურის გადასახადის შემთხვევაში ეკისრება.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, აქვს თუ არა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ამ მიმართულებით ერთობლივი პროგრამა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ილიაუნის აქვს იგივე კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა, რომელიც არ არის ერთობლივი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა მზაობა გამოთქვა ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელ

დაწესებულებების თანამშრომლობასთან დაკავშირებით იმ ნაწილში, რომ თუ პროგრამა შეწყვეტს ფუნქციონირებას, დაწესებულება მიიღებს პროგრამაზე არსებულ სტუდენტებს.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რომელ დაწესებულებებში განხორციელდება პრაქტიკული კომპონენტები და რა სიდიდით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ სხვადასხვა ორგანიზაციებთან აქვთ გაფორმებული მემორანდუმი კვლევებთან დაკავშირებით და სტუდენტთა კომპეტენციების გასამლიერებლად კერძოდ, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრთან, ალტერნატივა ჯორჯიასთან და თანადგომასთან. გარდა ამისა, ახლო მომავალში იგეგმება სხვა დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობა. სტუდენტის შეფასებას ახორციელებს მაგისტრანტის ხელმძღვანელი. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მაგისტრანტი აწარმოებს მის მიერ შესრულებული კვლევითი თუ პრაქტიკული კომპონენტის აღწერას დღიურის სახით. საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ რეგულირდება ფინანსური პარიტეტი შემოსავლებისა და დანახარჯების თვალსაზრისით. ვანო ცერცვაძემ განაცხადა, რომ განსაზღვრულია წილობრივი გადანაწილება კერძოდ, 60%-ი წილობრივად გადანაწილდება შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიაზე, ხოლო 40%-ი ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტზე. იმ შემთხვევაში თუ სუბიექტი, როგორც კომერციული შპს სახით, ისე არაკომერციული ა(ა)იპ - ის სახით მოგებაზე ვერ გავა, ორივე უნივერსიტეტს გააჩნია იმის ფინანსური შესაძლებლობა, რომ ერთობლივად დაფაროს ზარალი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 12:52**
**დასრულების დრო: 13:51**
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "გამოყენებითი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის და შპს - პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის "გამოყენებითი

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის“ ერთობლივ ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით 2027 წლის 31 დეკემბრამდე 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე**

**მეორე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | სოციალური მეცნიერებები<br>Social Sciences |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | პირობით აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2022 წლის 14 იანვრის №22216 გადაწყვეტილება |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 8 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | სოციალური მეცნიერებების დოქტორი<br>Doctor of Social Sciences |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი სწავლის სფეროს კლასიფიკატორის მიხედვით | 0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები - არაკლასიფიცირებული |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 30 |
| 14 | განხორციელების ადგილი | მ. კოსტავას 77, თბილისი, VI კორპუსი, 0175, საქართველო |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს მარინე მაისურაძემ და ქეთევან ქუთათელაძემ
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

*მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა*
*ექსპერტების პოზიციის განხილვა*

საერთაშორისო ექსპერტი მარტინ დალი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 ოქტომბერს, რომელიც მოიცავდა შეხვედრებს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან. მისი თქმით, შეფასების შედეგად განისაზღვრა რამდენიმე რეკომენდაცია და რჩევა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის ინტერდისციპლინურობის შედარებით შემცირებას. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ დამატებით შესაძლებლობების შექმნას სადოქტორო სტუდენტების მხრიდან გრანტებისა და სხვადასხვა პროექტებში გამარჯვების მიმართულებით. მისი თქმით, უნივერსიტეტს აქვს გარკვეული ურთიერთობები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტუდენტებს მაინც აქვთ შეზღუდვები და მეტი მუშაობაა ამ მიმართულებით საჭირო. ამრიგად, 1.4 კომპონენტი განისაზღვრა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია გაიზიარა. პროგრამაზე იყო პრობლემა კვლევის ხარისხთან, შესრულებულ ნაშრომებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით. პროგრამა გაძლიერდა როგორც პროგრამის შემადგენლობის თვალსაზრისით, ისე განმახორციელებელი პერსონალით. დაწესებულებაში ყველა საჭირო ღონისძიება ადმინისტრაციული და აკადემიური თვალსაზრისით განხორციელდა იმისათვის, რომ სისრულეში მოყვანილიყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები. რეკომენდაციები გაცემულია ორი მიმართულებით. პირველი რეკომენდაცია მიმართული იყო ინტერდისციპლინურობის შედარებით შემცირებისაკენ. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სოციალური მიმართულება თავისი შემადგენლობითი რთული კონსტრუქციისაა. აღნიშნული დისციპლინური დარგი აქტიურად შეესაბამება სხვა დარგებს. შესაბამისად, გაცემული რეკომენდაციის შესრულება საჭიროა იმიტომ, რომ კვლევების განვითარების რისკი დაზღვეული იქნეს. მეორე რეკომენდაცია მიმართული იყო უნივერსიტეტის მიერ დამატებით შესაძლებლობების შექმნასთან სადოქტორო სტუდენტების მხრიდან გრანტებისა და სხვადასხვა პროექტებში გამარჯვებისაკენ. მისი თქმით, საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის და საფაკულტეტო დონეზე ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია. როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კონსორციუმის ფარგლებში დაწესებულებას ამ მიმართულებით კარგი მაჩვენებელი აქვს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენი დოქტორანტი ჩაირიცხა პროგრამაზე და რამდენმა დაიცვა სადოქტორო ნაშრომი. მისი თქმით, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამა ინტერდისციპლინურია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტების მხრიდან ვიზიტის დროს ბევრი შეკითხვა დაისვა პროგრამის ინტერდისციპლინურობასთან დაკავშირებით. ექსპერტები მაღალი პასუხისმგებლობითა და კვალიფიკაციით მოეკიდნენ საქმეს. უნივერსიტეტი ითვალისწინებს მოცემულ შენიშვნას და ახლო მომავალში აუცილებლად გამოასწორებს. მისი თქმით, ძველი პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი იმაზე მეტ სტუდენტს იღებდა პროგრამაზე, რამდენიც გამოცხადებული ჰქონდა. შესაბამისად, განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სტუდენტთა მისაღები რაოდენობა პროგრამაზე შემცირდა ოთხჯერ. მან აღნიშნა, რომ 13 დოქტორანტმა დაასრულა პროგრამა.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამას გააჩნია აკადემიური და კარგი კვლევითი ბაზა, პროგრამა გადის შედეგზე. მას აინტერესებდა, პროგრამის ინტერდისციპლინურობა რამდენად არის საფუძველი პროგრამის ნაწილობრივ შეფასებისა. საერთაშორისო ექსპერტმა, განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ გაკეთებული მოსაზრებები დასკვნაში არის სუბიექტური. შესაბამისად, რთულია ამომწურავად გაეცეს პასუხი აღნიშნულ შეკითხვას. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ინტერდისციპლინურობა არ ნიშნავს ხარვეზს, თუმცა თუ პროგრამა მომავალში უფრო სპეციალურ საკითხებზე იქნება ორიენტირებული, მისასალმებელი იქნება.
საბჭოს წევრმა, ლევან ნიკოლეიშვილმა შეკითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, აპირებს თუ არა უნივერსიტეტი აღნიშნული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემოიღოს რაიმე სპეციალიზებული მიმართულება.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წინა პროგრამაზე პრობლემას წარმოადგენდა მატერიალური რესურსები და მხოლოდ მინიმუმზე აკმაყოფილებდა აკრედიტაციის სტანდარტებს. შესაბამისად, მომავალში არ იგეგმება რაიმე სპეციალიზებული მიმართულებების დამატება აღნიშნულ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, პროგრამის მიმართ გაცემულია შემდეგი რჩევა: „სასურველია დისერტაციის დაცვის პროცედურა იყოს რთული, რადგან დაცული ნაშრომების დიდი რაოდენობა პროცესის ლოიალობაზე მიუთითებს.“ დასკვნის ნარატივში იკითხება, რომ ექსპერტები გაეცნენ დაცულ დისერტაციებს, თუმცა აქ რამდენიმე კითხვა არის დასმული მათი მხრიდან კერძოდ, დამოწმების წესისთან და დიდი რაოდენობით დაცული დისერტაციებთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რატომ გაუჩნდათ ექსპერტებს დამოწმების წესთან მიმართებაში კრიტიკული დამოკიდებულება. გარდა ამისა, ექსპერტები გაეცნენ თუ არა დამოწმების წესის განმსაზღვრელ დოკუმენტს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ახალი პროგრამით გათვალისწინებული არ არის საფაკულტეტო და სადისერტაციო საბჭო. ჩამოყალიბდა ორი სადისერტაციო საბჭო და მხოლოდ სოციალური მიმართულება ემსახურება ამ მიმართულებას. მისი თქმით, აბსოლუტურად შეიცვალა მთელი რიგი მოთხოვნები დოქტორანტთან და ადმინისტრაციასთან მიმართებაში. წინა პროგრამით გათვალისწინებული იყო ის, რომ მიუხედავად უარყოფითი რეცენზიისა მაინც შეეძლო დოქტორანტს გასულიყო დაცვაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა კვლევით პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ახალი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია ახალი კრიტერიუმები.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყებისდრო: 14:08**
**დასრულებისდრო: 15:19**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით **(2028 წლის 31 დეკემბერი),** 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**კენჭისყრისშედეგი:**

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით **(2028 წლის 31 დეკემბერი),** 2 წელიწადში მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა გურანდა ჭელიძემ.**
**საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ლაშა ჩხარტიშვილი.**

**მესამე საკითხი:** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიის" საბაკალავრო, "მუსიკოლოგიის" სამაგისტრო, "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო, "კომპოზიციის" საბაკალავრო, "კომპოზიციის" სამაგისტრო, "კომპოზიციის" სადოქტორო, "მუსიკის ტექნოლოგიის" საბაკალავრო და "მუსიკის ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**"მუსიკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა**

| № | **ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ** | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მუსიკოლოგია<br>Musicology |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | №299, 18/11/2011 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | მუსიკის თეორია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | შემოქმედებითი ტური |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 6 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | |

| | | |
|---|---|---|
| | | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მუსიკოლოგიაში<br>Bachelor of Arts in Musicology |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 8-10 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**"მუსიკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მუსიკოლოგია<br>Musicology |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | №256, 26/07/2012 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | მუსიკისმცოდნეობა (მუსიკის თეორია/მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია) |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | შემოქმედებითი ტური |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | • ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი მუსიკოლოგიაში Master of Arts in Musicology<br>• ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში/Master of Arts in Ethnomusicology<br>• ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში/Master of Arts in Church Music |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 8-10 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**"მუსიკოლოგიურიკვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა**

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მუსიკოლოგიური კვლევები / Musicological studies |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | №301, 18/11/2011 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | სამუსიკისმცოდნეო კვლევები |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 8 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | მუსიკოლოგიის დოქტორი/PHD in Musicology |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 35 |
| 14 | განხორციელების ადგილი | 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 8-10 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**"კომპოზიციის" საბაკალავროსაგანმანათლებლოპროგრამა**

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | კომპოზიცია/ Composition |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | №300, 18/11/2011 |
| 5 | | კომპოზიცია |

| | | |
|---|---|---|
| | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | შემოქმედებითი ტური |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 6 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი კომპოზიციაში/<br>Bachelor of Arts in Composition |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 8-10 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**"კომპოზიციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | კომპოზიცია/<br>Composition |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | №258, 26/07/2012 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | კომპოზიცია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | შემოქმედებითი ტური |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი კომპოზიციაში/<br>Master of Arts in Composition |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი | 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 8-10 |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

"კომპოზიციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | კომპოზიცია/<br>Composition |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | №303, 18/11/2011 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | კომპოზიცია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | - |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 8 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | კომპოზიციის დოქტორი/<br>Doctor of Composition |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 35 |
| 14 | განხორციელების ადგილი | 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 8-10 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

"მუსიკის ტექნოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მუსიკის ტექნოლოგია/<br>Music Technology |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | №708, 20/11/2012 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | მუსიკა და დღევანდელობა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| 7 | დაშვების წინაპირობები | მუსიკალურ-სმენითი უნარების შეფასება ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე |

| | | |
|---|---|---|
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 6 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მუსიკის ტექნოლოგიაში/<br>Bachelor of Arts in Music Technology |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი | 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 8-10;<br>0177, ნუცუბიძის ქ. 18 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**"მუსიკის ტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

| № | ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | მუსიკის ტექნოლოგია/<br>Music Technology |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | ავტორიზებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | №63, 07/09/2018, |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | მუსიკის ტექნოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 7 | დაშვების წინაპირობები | შემოქმედებითი ტური |
| 8 | კვალიფიკაციის დონე | მე - 7 |
| 9 | კვალიფიკაციის დასახელება | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი მუსიკის ტექნოლოგიაში/<br>Master of Arts in Music Technology |
| 10 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით | - |
| 11 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| 14 | განხორციელების ადგილი | 0108, თბილისი, გრიბოედოვის ქ. 8-10;<br>0177, ნუცუბიძის ქ. 18 |
| 15 | მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება | - |

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადა ნინო ბაქრაძემ.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

საერთაშორისო ექსპერტი ჰელენ მაკვეი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ პროგრამების მიმართ გაცემული იყო ბევრი რჩევა. უნივერსიტეტს კარგად ესმის თუ რა დანიშნულება აქვს პროგრამებისთვის განმავითარებელ რჩევებს. მისი თქმით, დაწესებულების აკადემიურმა პერსონალმა აჩვენა მაღალი ჩართულობა მოცემული პროგრამების აკრედიტაციის პროცესში.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელი, მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები ორიენტირებულია პროგრამების განვითარებაზე. დასკვნაში მოცემული პირველი ორი რეკომენდაცია არის ტექნიკური ხასიათის. „Benchmark" დოკუმენტები არის დაწესებულებისთვის სავალდებულოდ მოსამზადებელი. ეს დოკუმენტები ტექნიკური მიზეზის გამო გარკვეულ პროგრამებში არ ჩანდა. მაგალითად, "მუსიკოლოგიის" საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში არის „Benchmark" დოკუმენტები, თუმცა სხვა პროგრამებთან მიმართებაში ტექნიკური ხარვეზის გამო არ იყო მოცემული. მისი თქმით, ვიზიტის დროს ამ საკითხზე ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული. მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების რეგულაციით სწავლის შედეგების შეფასების პროცედურას ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერა. ამ რეგულაციით არ არის განსაზღვრული საკითხი, რომ აკადემიური და

მოწვეული პერსონალი უნდა იყოს ამ პროცესში ჩართული, თუმცა ისინი გარკვეულწილად მონაწილეობენ აღნიშნულ პროცესში, რადგან პროცესი არის თვითრეფლექსური. სემესტრის დასრულების შემდეგ პედაგოგი ვალდებულია საკუთარ კურსთან მიმართებაში წარმოადგინოს ე.წ. თვითრეფლექსია, რომელშიც მოცემული იქნება თუ რა შედეგზე გავიდნენ მისი სტუდენტები კონკრეტული კურსის ფარგლებში. ამ ინფორმაციას ის უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც აღნიშნულ საკითხს განიხილავს კათედრაზე. მუსიკოლოგიისა და კომპოზიციის პროგრამები მცირე კონტინგენტიანია. თითოეული სტუდენტის პრობლემა თუ წარმატება სწავლებასთან დაკავშირებით ყველა პროგრამის ხელმძღვანელისთვის ცნობილია. შესაბამისად, წარმოუდგენელია როდესაც პროგრამაზე 7 სტუდენტი სწავლობს და არ იცნობდე მათ შესაძლებლობებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმაში გაწერილია მომავალი წლისთვის გაუსის დიაგრამა, რომელიც იემეს სისტემაშია დანერგილი და მოდის "Excel"-ის ფაილის იმპორტით და შემდეგ საჭიროა ხელით დამუშავება, მისი მოდერნიზება და გრაფიკული, გენერალიზებული ვერსიის მიღება. დაწესებულების წარმომადგენელმა მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არ არის ერთადერთი დაწესებულება, როდესაც სტუდენტები მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გზით შეიძლება მიეწოდოთ სილაბუსები, ისინი ამ სილაბუსებს არ კითხულობენ. მისი თქმით, „EMSI.GE" არის ატვირთული სილაბუსები. გარდა ამისა, პედაგოგები ელ - ფოსტის მეშვეობით უგზავნიან სტუდენტებს კორპორატიულ მეილებზე სილაბუსებს. მარეგულირებელ წესში განხორციელდა ცვლილება კერძოდ, თითოეული პედაგოგი ვალდებულია სტუდენტთა პირველი შეხვედრისას 10 - 15 წუთი დაუთმოს სილაბუსის გაცნობას. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ განახორციელეს ცვლილება დოქტორანტურის დებულებაში. ცვლილების ერთ-ერთი საფუძველი იყო ის, რომ დოქტორანტებს მონაწილეობა მიეღოთ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ ჩატარებულ კონფერენციებში. დაწესებულების წარმომადგენელმა მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საბაკალავრო ნაშრომის ინსტრუქცია, რომელიც შემუშავებულია სტუდენტებისათვის, ითვალისწინებს არა მხოლოდ დასკვნის ეტაპზე კომისიის წინაშე შეფასებას, არამედ მანამდე განმავითარებელ შეფასებებს. მაგალითად, 100 ქულიანი შეფასება განაწილებულია კომისიასა და რეცენზენტზე. ვიდრე რეცენზენტს გადაეგზავნება საბაკალავრო ნაშრომი შესაფასებლად, სტუდენტი გადის მიმართულების სხდომაზე და წარმოადგენს თავის საბაკალავრო ნაშრომს. თუ მიმართულების ხელმძღვანელი მოიწონებს მის ნაშრომს, ეს უკანასკნელი ეგზავნება რეცენზენტს. გარდა ამისა, სანამ მიმართულების სხდომაზე მოხდება ნაშრომის განხილვა, ორი კვირით ადრე ხდება საბაკალავრო ნაშრომის „Turnitin"-ის პროგრამაში გატარება და პროგრამის ხელმძღვანელი მიმართულების ხელმძღვანელს წარუდგენს დასკვნას იმის თაობაზე, რომ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები დაცულია ნაშრომში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სემესტრის განმავლობაში ხელმძღვანელი ხშირად ხვდება სტუდენტს, რომელიც უბრუნებს უკუკავშირს და ერთობლივად მუშაობენ ნაშრომის გაუმჯობესებაზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მისი თქმით, ერთ-ერთი რჩევა დოქტორანტების ხელმძღვანელის შეფასებასთან დაკავშირებით გაიცა. მას აინტერესებდა, რატომ გაიცა აღნიშნული საკითხი რჩევის და არა რეკომენდაციის სახით. საერთაშორისო ექსპერტმა, აღნიშნა, რომ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს არ აქვს გამოცდილება დოქტორანტების ხელმძღვანელის შეფასების, არამედ ეს რჩევა გაიცა ამ საკითხის განვითარებისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს რჩევა რეკომენდაციის სახით იყო გაცემული, თუმცა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ გადავიდა რჩევაში. დაწესებულების აზრით, რადგან სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტების რიცხვი ძალიან მცირეა, მათ მხრიდან ანონიმურად შეფასება სამეცნიერო ხელმძღვანელის შეუძლებელია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არ ხდება სამეცნიერო

ხელმძღვანელობის შეფასება სტუდენტების მიერ. საბჭოს წევრმა, ირინე ებრალიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხისა და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე შესაძლებელია თუ არა ჩაითვალოს 1.3 ქვესტანდარტში მოცემული რეკომენდაციები შესრულებულად.
საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ამ დოკუმენტების საფუძველზე აღნიშნულ ქვესტანდარტში მოცემული რეკომენდაციები შესრულებულად არ ჩათვალა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადგან დაწესებულებას სწავლის შედეგების ფორმირებისა და შეფასების მეთოდოლოგია აღებული აქვს აკრედიტაციის სახელმძღვანელოდან, რომელიც შემუშავებულია განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ, ამ მეთოდოლოგიიდან გამომდინარე ნათლად გაზომვადი რომ იყოს სწავლის შედეგი, სასურველია ერთი ზმნა იყოს გამოყენებული. სწავლის შედეგების შეფასება ახალი მეთოდოლოგიით ექსპერტებისთვის დიდი გამოწვევაა. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ თუ დაწესებულებას შემუშავებული ექნებოდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკები, ამ მიმართულებით რეკომენდაცია არ გაიცემოდა.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, აქვთ თუ არა სტუდენტებს საკომუნიკაციო სივრცე კონსერვატორიაში.
საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებს საკომუნიკაციო სივრცე კონსერვატორიაში აქვთ, თუმცა აქ საუბარია იმაზე თუ რამდენად არის ეს სივრცეები შესაბამისი იმ სხვადასხვა კონკრეტული ტიპის საქმიანობებისათვის, რომლებიც შეიძლება სტუდენტებს სჭირდებოდეთ.
გარდა ამისა, ერმილე მესხიას აინტერესებდა, რას ნიშნავს „საეკლესიო მუსიკა 1“ და „საეკლესიო მუსიკა 2“ არ არის დასრულებული. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში იგულისხმება სასწავლო კურსების სილაბუსების დასრულება. ეს შენიშვნა გამოიწვია დასკვნის არასწორმა თარგმანმა.
ერმილე მესხიას თქმით, 5.3 ქვესტანდარტი შეფასებულია მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან, თუმცა ამ ნაწილში რეკომენდაცია არ არის. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი.
ერმილე მესხიამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს მასწავლებლის 60 კრედიტიანი პროგრამა საბაკალავრო პროგრამებში ინტეგრირებული. მას აინტერესებდა, როგორ ხდება მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე სტუდენტების დაკომპლექტება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ მსურველთა კონტინგენტი დაბალია მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთი სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში პროგრამა არ განხორციელდება.
საბჭოს წევრმა, ნინო ღაღანიძემ კითხვა დაუსვა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რა გახდა მესამე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. გარდა ამისა, პროგრამის მიმართ გაცემულია შემდეგი რჩევა: „სამაგისტრო დონეზე კვლევის დროს სასურველია დაკვირვება კვლევისთვის დამახასიათებელ ინსტრუმენტებზე“. მას აინტერესებდა, რა ინსტრუმენტებზეა საუბარი აღნიშნულ რჩევაში.
საერთაშორისო ექსპერტმა განაცხადა, რომ მუსიკა ძალიან სპეციფიკური დარგია, თუმცა მნიშვნელოვანია აქ გათვალისწინებული იყოს ის მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია სწავლის შედეგების მიმართულებით აკრედიტაციის სტანდარტებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ეს დაკავშირებული იყოს იმ სპეციფიკასთან, რომელიც ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს - მუსიკას გააჩნია. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საერთაშორისო გამოცდილებებისა და პრაქტიკების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ისეთი სუბიექტური სფეროს ფარგლებში როგორიც მუსიკაა არსებობდეს მკაფიო აკადემიური ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება ამ ორი განსხვავებული პერსპექტივის დაახლოება. შესაბამისად,

რეკომენდაცია ეხებოდა იმას, რომ უფრო მკაფიოდ ყოფილიყო მოცემული ზოგადი და სპეციფიკური მიდგომების გაერთიანება მუსიკის პროგრამაში. ექსპერტმა კვლევისთვის დამახასიათებელ ინსტრუმენტებზე აღნიშნა, რომ ეს არის თარგმანის პრობლემა და მასში იგულისხმება კვლევის მეთოდოლოგიის მრავალფეროვნება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო საფეხურის ყველა პროგრამაში გათვალისწინებულია კვლევის მეთოდები. გარდა ამისა, მუსიკოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე გათვალისწინებულია სამი სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებს კვლევის მეთოდებს. კომპოზიციის პროგრამაზე გათვალისწინებულია მხატვრული კვლევის მახასიათებლების შესწავლა და კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც სოციოლოგიური კვლევის მეთოდებსაც მოიცავს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:12**
**დასრულების დრო: 16:46**
**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ზ“

ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო საგანმა ნათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის "მუსიკოლოგიური კვლევების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის "კომპოზიციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე

მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის "კომპოზიციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის "კომპოზიციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის "კომპოზიციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის "კომპოზიციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის "კომპოზიციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის „მუსიკის ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის **„მუსიკის ტექნოლოგიის“ საბაკალავრო** საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის „მუსიკის ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობისსახელმწიფო კონსერვატორიის „მუსიკის ტექნოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 20 დეკემბერი), 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

**დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოსთან იშუამდგომლა,** რომ უნივერსიტეტმა აკრედიტაციისთვის პროგრამების კლასტერი წარადგინა 2023 წლის 1 მაისს და პროგრამების კვალიფიკაცია შეესაბამებოდა მოქმედ სწავლის სფეროების კლასიფიკატორს. თუმცა,

კვალიფიკაციების ფორმულირება შეიცვალა 2023 წლის ივლისში, რადგან განაცლდა სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რის გამოც დაწესებულება მოკლებული იყო შესაძლებლობას ცენტრში განაცხადი წარმოედგინა კვალიფიკაციების შეცვლილი ფორმულირებების გათვალისწინებით.
ასევე მნიშვნელოვანია რომ კვალიფიკაციების ფორმულირებების ცვლილება არის მხოლოდ ტექნიკური ხასიათის. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ცვლილებები განხორციელდა შემდეგნაირად:

| პროგრამის სახელი | ძველი კვალიფიკაცია | ახალი კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| მუსიკოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი მუსიკოლოგიაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მუსიკოლოგაიში |
| მუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი მუსიკოლოგიაში სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი მუსიკოლოგიაში ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში; ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი საეკლესიო მუსიკაში |
| კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამა | სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი კომპოზიციაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი კომპოზიციაში |
| კომპოზიციის სამაგისტრო პროგრამა | სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი კომპოზიციაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი კომპოზიციაში |
| მუსიკის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამა | სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი მუსიკის ტექნოლოგიაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი მუსიკის ტექნოლოგიაში |
| მუსიკის ტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამა | სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი მუსიკის ტექნოლოგიაში | ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი მუსიკის ტექნოლოგიაში |

ასევე, დაწესებულების წარმომადგენელმა იშუამდგომლა რომ გადაწყვეტილებები ძალაში შესულიყო 2023 წლის 20 დეკემბერს.

აკრედიტაციის საბჭომ ერთხმად დააკმაყოფილა ორივე შუამდგომლობა

**საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნინო ღაღანიძემ.**

**მეოთხე საკითხი:** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | გამოყენებითი მათემატიკა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | |
| 3 | სტატუსი | აკრედიტებული |
| 4 | | 1277414, 11/10/2022 |

| | | |
|---|---|---|
| | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება | გამოყენებითი მათემატიკა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე | მე - 8 |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | მათემატიკის დოქტორი |
| 9 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0541 მათემატიკა |
| 10 | სწავლების ენა | ქართული |
| 11 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 60 |
| 12 | განხორციელების ადგილი | ა. პოლიტკოვსკაიას №26, თბილისი, 0186, საქართველო |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს, ექსპერტის დასკვნას და საკითხის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას ანგარიშის შესახებ. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოსთა ვმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა აღნიშნა, რომსსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა „გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის და მასთან თანდართული დოკუმენტაციის შეფასების შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ და პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული 9 რეკომენდაციიდან სრულად შეასრულა 8, ხოლო ერთი რეკომენდაცია (მე-5 რეკომენდაცია) შესრულების პროცესშია. ექსპერტის თქმითდაწესებულებას დაწყებული აქვს მოცემულ რეკომენდაციაზე მუშაობა. მისი თქმით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებულ იქნა გამოკითხვა სტუდენტებს შორის, რომელიც ითვალისწინებდა ბიბლიოთეკის მუშაობის კმაყოფილების კვლევას. გამოკითხულთა 65% კმაყოფილი აღმოჩნდა ბიბლიოთეკის მუშაობით, 23% - ნაწილობრივ, ხოლო 12 % - უკმაყოფილო. აღნიშნულ კვლევაზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები, მათ შორის სხვადასხვა სახის აქტივობების, ტრენინგების განხორციელების კუთხით.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის, მან აღნიშნა, რომ მეხუთე რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა და ახლო მომავალში გამოსწორდება არსებული ხარვეზი.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:56**
**დასრულების დრო: 17:10**
**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების $27^6$ მუხლის $2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი მათემატიკის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**საბჭოს სხდომა დასრულდა 17:15 სთ - ზე**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი